19273-05-2-202306071757

N 05/19273
07.06.2023

ბატონ გიორგი დიასამიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2023 წლის 31 მაისის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ ფოტოგრაფიის მოყვარულთათვის გამოცხადებული ფოტო კონკურსი - "მე ვხედავ ევროპას" - მიზნად ისახავდა საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის თემაზე მათ მიერ განცდილი და ფოტო კამერით დანახული დამოკიდებულების ასახვას.

მოხარული ვართ, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 100-მდე მოყვარულმა ფოტოგრაფმა. ჟიურის მიერ, რომელიც შედგებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებისგან, შეირჩა 13 აქამდე უცნობი ნამუშევარი, რომელთაგანაც საუკეთესოები უკვე ხმის მიცემის პრინციპით გამოვლინდა. კონკურსის შედეგად წარმოჩინდა არაერთი საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი საინტერესო ნამუშევარი.

კონკურსის საორგანიზაციო მხარე არ მოიცავს ფინანსურ დანახარჯებს, გარდა გამარჯვებულებისთვის დაწესებული პრიზებისა, რომელთა ჯამური ღირებულება გახლავთ 3480 ლარი, ხოლო სოციალურ მედიაში საინფორმაციო პოსტის რეკლამისთვის დაიხარჯა 80 აშშ დოლარი.

ძალიან სამწუხაროა, რომ პროფესიონალი ფოტოგრაფის ზურაბ ცერცვაძის მხრიდან მწვავე და უსაფუძვლო რეაქცია მოჰყვა იმას, რომ მის მიერ გადაღებული ფოტო არ შეირჩა გამარჯვებულთა შორის. აღნიშნული ფოტოგრაფის კონკრეტულად ეს ნამუშევარი ბოლო პერიოდში სარგებლობს ისედაც მაღალი ცნობადობით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებასა და წამყვან მედია გამოცემებში. მას მიღებული აქვს არა ერთი საპატიო ჯილდო და მოპოვებული აქვს საერთაშორისო აღიარება. შესაბამისად, ჟიურის გადაწყვეტილებით, ეს ნამუშევარი არათანაბარ პირობებში აყენებდა სხვა კონკურსანტებს,

რის საფუძველზეც ის არ იქნა შერჩეული და უპირატესობა მიენიჭა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ნამუშევრებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრმა უკვე დააფიქსირა საჯარო პოზიცია, გთხოვთ იხილოთ (ბმული)

პატივისცემით,
თამარა წულეისკირი

დირექტორი
სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ